

შპს ახალშენი 2005
2023 წლის ფინანსური ანგარიშგება

მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს "ახალშენი 2005"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2023 ლარი	31/12/2022 ლარი	31/12/2021 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	752,000	299,294	341,936
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4	11,085,203	12,793,117	12,588,976
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,837,204	13,092,411	12,930,912
სასაქონლო მარაგები	5	1,657,374	1,780,492	1,095,139
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	9,777,626	9,810,432	10,803,449
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		9,949	377	41
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,444,949	11,591,301	11,898,629
სულ აქტივები		23,282,153	24,683,712	24,829,541
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	4,495,881	4,555,129	5,954,304
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,495,881	4,555,129	5,954,304
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	10,574,989	12,543,270	10,550,659
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10,574,989	12,543,270	10,550,659
სულ ვალდებულებები		15,070,870	17,098,399	16,504,963
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,015,460	2,015,460	1,968,460
გაუნაწილებელი მოგება		724,451	98,480	884,746
რეზერვები და დაფინანსება		5,471,372	5,471,372	5,471,372
სულ საკუთარი კაპიტალი		8,211,283	7,585,313	8,324,578
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		23,282,153	24,683,712	24,829,541

შპს "ახალშენი 2005"-ს

დირექტორი: გოჩა ცხენოსანიძე

შპს "ახალშენი 2005"

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	9	1,108,689	523,302
ამონაგების თვითღირებულება		(420,805)	(88,110)
საერთო მოგება		687,884	435,192
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(416,951)	(599,110)
ფინანსური შემოსავალი		-	71,039
ფინანსური ხარჯი	11	(877,170)	(753,923)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	12	1,232,670	60,536
მოგება დაბეგვრამდე		626,433	(786,265)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		626,433	(786,265)

შპს "ახალშენი 2005"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სხვა რეზერვები ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	1,968,460	884,746		8,324,578
პერიოდის მოგება		(786,265)		(786,265)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	47,000			47,000
ნაშთი - 31.12.2022	2,015,460	98,480		7,585,313
პერიოდის მოგება		626,433		626,433
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-			-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(462)		(462)
ნაშთი - 31.12.2023	2,015,460	724,451	-	8,211,283

შპს "ახალშენი 2005"-ს

დირექტორი: გოჩა ცხენოსანიძე

შპს "ახალშენი 2005"

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "ახალშენი 2005" შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 10/11/2005). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკ. წერეთლის გამზ., №55, კორპ. №1, ბინა №124. მისი ძირითადი საქმიანობაა ღვინოს წარმოება.

კომპანიის დირექტორი: გოჩა ცხენოსანიძე, (პ/ნ 01004004129).

მესაკუთრე: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, (ს/კ 201951637) - 100% წილის მფლობელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი ("ლარი"), რაც წარმოადგენს კომპანიის ფუნქციურ ვალუტას.

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკუროსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
1 აშშ დოლარი / ლარი	2.6894	2.7020	3.0976
1 ევრო / ლარი	2.9753	2.8844	3.504

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მიუხედავად იმისა, რომ მოგების გადასახადის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება წარმოიქმნება მხოლოდ დივიდენდის გადახდის შემდეგ, ვალდებულების აღიარება ხდება დივიდენდის გამოცხადების თარიღისთვის, თუ მაღალია ალბათობა, რომ გადაწყვეტილება დივიდენდის გამოცხადებაზე არ გაუქმდება.

მოგების გადასახადის ხარჯი გამორიცხავს მოგების გადასახადს დასაბეგრ ხარჯებზე, რადგან აღნიშნული არ ეფუძნება მოგების გადასახადის ცნებას (ის აღიარდება, როგორც საოპერაციო ხარჯი მოგებაში ან ზარალში).

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, ცვეთის შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 – 20 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 10 – 30 პროცენტი

გათვალისწინებული ვადის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად

ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის გაყიდვისათვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მომსახურების/საქონლის მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები

დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოები, გაყიდვების თანამშრომლებისთვის წარმოადგენს ფიქსირებული თანხისა და ბონუსის ჯამს. ადმინისტრაციისათვის გასამრჯელოები ფიქსირებულია და არ იცვლება, თუ არ მოხდა მათი გასამრჯელოს მატების ან ერთჯერადი წახალისებისთვის, თანხის დამატების გადაწყვეტილების მიღება. გასამრჯელოები გადაიხდება ყოველთვიურად.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

3. ძირითადი საშუალებები

ოფისის აღჭურვილობა, დანადგარები, ავეჯი და სხვა ინვენტარი	ლარი	სულ ლარი
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2021	341,936	341,936
შემოსვლა 2022	26,923	26,923
ცვეთა პერიოდისათვის 2022	(69,565)	(69,565)
გასვლა 2022	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2022	299,294	299,294
შემოსვლა 2023	542,530	542,530
ცვეთა პერიოდისათვის 2023	(89,823)	(89,823)
გასვლა 2023	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება ბალანსი 31.12.2023	752,000	752,000

4. სხვა გრძელვადიანი აქტივები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
მიწის ნაკვეთები	58,882	58,882	58,882
დაუმთავრებელი მშენებლობა	-	4,805	4,805
შენობები	3,670,120	3,543,873	3,339,732
ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალებები	7,356,201	9,185,557	9,185,557
სულ	11,085,203	12,793,117	12,588,976

5. სასაქონლო მარაგები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
გასაყიდი საქონელი	1,034,592	1,112,494	425,633
საწარმოო ნედლეული და მასალები	622,782	667,998	669,506
სულ	1,657,374	1,780,492	1,095,139

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
საქონლის/მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული მოთხოვნა	220,961	182,150	5,423,358
გადახდილი ავანსები	8,884,532	9,004,468	3,898,449
გაცემული სესხი	79	79	852,915
სხვა მოკლევადიანი აქტივები	672,055	623,735	628,726
სულ	9,777,626	9,810,432	10,803,449

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
საიჯარო ვალდებულებები	-	15,804	-
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	59,795	158,799	512,979
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	398,235	398,485	398,235
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	4,037,850	3,982,041	5,043,090
სულ	4,495,881	4,555,129	5,954,304

8. გრძელვადიანი ნასესხები სახსრები

	2023	2022	2021
	ლარი	ლარი	ლარი
ბანკებიდან აღებული ნასესხები სახსრები	1,852,813	8,626,154	10,550,659
სხვა პირებისგან აღებული ნასესხები სახსრები	8,722,177	3,917,116	-
სულ	10,574,989	12,543,270	10,550,659

9. ამონაგები

	2023	2022
	ლარი	ლარი
ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან	381,031	92,017
ამონაგები საიჯარო მომსახურებიდან	727,658	431,285
სულ	1,108,689	523,302

10. ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
	ლარი	ლარი
დასაქმებულთა ანაზღაურება	(80,884)	(183,287)
ცვეთა და ამორტიზაცია	(242,094)	(236,552)
იჯარის ხარჯი	(6,505)	(13,393)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(87,468)	(165,878)
სულ	(416,951)	(599,110)

11. ფინანსური ხარჯი

	2023	2022
	ლარი	ლარი
ნასესხებ სახსრებზე (სესხი) დარიცხული საპროცენტო ხარჯები	(877,170)	(753,923)
სულ	(877,170)	(753,923)

12. არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2023	2022
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	1,194,442	60,536
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	38,227	-
სულ	1,232,670	60,536

13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა. (05.08.2024)

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
წლის 2024 წლის 5 აგვისტოს.

შპს "ახალშენი 2005"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ის თარიღისთვის

	შენიშვნა	31/12/2023 ლარი	31/12/2022 ლარი	31/12/2021 ლარი
აქტივები				
ძირითადი საშუალებები	3	752,000	299,294	341,936
სხვა გრძელვადიანი აქტივები	4	11,085,203	12,793,117	12,588,976
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,837,204	13,092,411	12,930,912
სასაქონლო მარაგები	5	1,657,374	1,780,492	1,095,139
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	9,777,626	9,810,432	10,803,449
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		9,949	377	41
სულ მოკლევადიანი აქტივები		11,444,949	11,591,301	11,898,629
სულ აქტივები		23,282,153	24,683,712	24,829,541
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	4,495,881	4,555,129	5,954,304
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		4,495,881	4,555,129	5,954,304
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	8	10,574,989	12,543,270	10,550,659
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		10,574,989	12,543,270	10,550,659
სულ ვალდებულებები		15,070,870	17,098,399	16,504,963
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		2,015,460	2,015,460	1,968,460
გაუნაწილებელი მოგება		724,451	98,480	884,746
რეზერვები და დაფინანსება		5,471,372	5,471,372	5,471,372
სულ საკუთარი კაპიტალი		8,211,283	7,585,313	8,324,578
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		23,282,153	24,683,712	24,829,541

შპს "ახალშენი 2005"-ს

დირექტორი: გოჩა ცხენოსანიძე



შპს "ახალშენი 2005"

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2023 ლარი	2022 ლარი
ამონაგები	9	1,108,689	523,302
ამონაგების თვითღირებულება		(420,805)	(88,110)
საერთო მოგება		687,884	435,192
ადმინისტრაციული ხარჯები	10	(416,951)	(599,110)
ფინანსური შემოსავალი		-	71,039
ფინანსური ხარჯი	11	(877,170)	(753,923)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	12	1,232,670	60,536
მოგება დაბეგვრამდე		626,433	(786,265)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/ზარალი		626,433	(786,265)

შპს "ახალშენი 2005"-ს
დირექტორი: გოჩა ცხენოსანიძე



შპს "ახალშენი 2005"

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2023 - 31.12.2023 პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	სხვა რეზერვები ლარი	სულ საკუთარი კაპიტალი ლარი
ნაშთი - 31.12.2021	1,968,460	884,746		8,324,578
პერიოდის მოგება		(786,265)		(786,265)
კაპიტალის სხვა ცვლილებები	47,000			47,000
ნაშთი - 31.12.2022	2,015,460	98,480		7,585,313
პერიოდის მოგება		626,433		626,433
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-			-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(462)		(462)
ნაშთი - 31.12.2023	2,015,460	724,451	-	8,211,283

შპს "ახალშენი 2005"-ს
დირექტორი: ვოჩა ცხენოსანიძე



12. არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)

	2023	2022
	ლარი	ლარი
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	1,194,442	60,536
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	38,227	-
სულ	1,232,670	60,536

13 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ გამოვლენილა. (05.08.2024)

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია
წლის 2024 წლის 5 აგვისტოს.

შპს "ახალშენი 2005"-ს
დირექტორი: გოჩა ცხენოსანიძე

